

სპორტიელი

ეროვნული
ნიუსი

საერთოული გაზეთი ორშაბათი 6 ნოემბერი 2006 №257 (2879)

ფასი 50 თეთრი

სუთვარსკვლავიანი ამბავი: ბრაზილიის ნაკრები? თბილისში?

საქართველო — არგენტინა თბილისში? ამის თაობაზე უკვე ვწერდით, თუმც ერთი დეტალი შეიცვალა: 22 აგვისტოს ნაცვლად არგენტინელები შესაძლოა, 12 სექტემბერს გვესტუმრონ მართალია, ეს საკითხი ჯერაც სათუთო და სათუმცაოა, მაგრამ... არც ისაა გამორიცხული, ქართველმა გულშემატკივრებმა არგენტინის კი არა, ბრაზილიის ნაკრები ნახონ ცოცხლად!

როგორ მიდის ერთ ან მეორე სუპერნაკრებთან მოლაპარაკება? ამაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს დავეკითხეთ:

— არგენტინულ მხარესთან მოლაპარაკება გრძელდება. მათთან თამაშის თარიღად ორი ვარიანტი გვაქვს: 22 აგვისტო და 12 სექტემბერი. ძალიან კი გვინდა, საქართველოს ნაკრები ასეთი დონის გუნდს გაევიბროს, მაგრამ ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. მაგალითად, არგენტინელებისთვის შესათავაზებელი თანხა; შევძლებთ თუ არა ამ თანხის ამოღებას ტელეტრანსლაციებით, ბილეთების გაყიდვით...

— დაახლოებით როდის ველოდით მოლაპარაკებათა დასრულებას?

— ეს ისეთი საკითხია, ერთ თვეში, ალბათ, ვერ გადაწყდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არა აქვს იმხელა ფინანსური გაქანება, რომ ზარალზე წავიდეს. თუ არგენტინელებისთვის შესათავაზებელი თანხის ამოღება შესაძლებელი იქნება, მაშინ გავრისკავთ. თუმცა, მინდა ვითხრათ, რომ არგენტინის ნაკრებზე არანაკლებ საინტერესო ვარიანტი გვაქვს, თუ უკეთესი არა...


— უკეთესი რომელია? ბრაზილია?

— დიახ. ბრაზილიის ნაკრების მასპინძლობაც ზუსტად იმ პერიოდში გვინდა, რომელზეც არგენტინას ველაპარაკებით. თუმცა ამ ეტაპზე არგენტინის ვარიანტი უფრო რეალური ჩანს.

ილია ნანოხაშვილი



ზაზა ზეობს ფარულს სუპერსტარტი: 37 ქულა ორ თამაშში



პირველი თამაშის 15 ქულას ზაზა ფარულიამ პარასკევს 22 მიამატა, 12 მოსხნას — 7, ზედ 4 პასიც მიაყოლა და თავის „ატლანტა ჰოქსს“ „ნიუ იორკ ნიქსი“ ნააქცევინა.

ზაზა აშკარად თამაშის იმტაზზეა და ჯო ჯონსონს ამ გუნდის ზიდვაში ქართულკაცურად ეხმარება. თუკი „ატლანტა“ გუნდად ღირს, სწორედ ამ ორის მარიფათით — სეზონის პირველ გამარჯვებაში ჯონსონმა 30-ქულიანი წილი დაიდო, ფარულიამ კი თავისი 22 ქულიდან 13 გადამწვევტ მეოთხედში ჩააგდო.

გუშინ ქართველ ლეგიონერებს მოსავლიანი ტური ჰქონდათ — უმეტესობის კლუბებმა მოიგეს და ორი ქართული გოლიც ენახეთ.

გერმანულ ბუნდესლიგაში დიდი ჯაზი იყო: „შალკე“ უკვე 20-ე წუთზე 2:0-ს იგებდა „ბაიერნთან“ და „ხუმარების“ მეორე გოლი ტრანზამომშუშებული ლევან კობიაშვილისა იყო — კობიმ 18 მეტრიდან მაღალ კუთხეში დაუქუსა ოლივერ კანს. ძალიან ლამაზი გოლი გამოვიდა... წლევეანდელ ბუნდესლიგაში ეს ლევანის მეორე გოლია მერვე მატჩში.

ზედიზედ მესამე ტურია, ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ფორვარდ ირაკლი მოდებაძეს გააქვს და თანაც გადამწვევტი გოლი: ჩვენთან მე-13 წუთზე ფლანგიდან ჩაწოდებულს დაუხვდა მარჯვედ და ზაპოროჟიელებს 1:0 მოაგებინა ალჩეხესკის „სტალთან“.

კობიაშვილისგან გოლგამგებელი „ბაიერნი“ ვახსენეთ და, ისიც ვთქვათ, რომ ეს უქმეები ევროპულ გრანდთა ტოტალური ჩავარდნისა იყო. განა ბობოლათაგან დაკარგული ქულები არ გვახსოვს, მაგრამ როდის იყო, „ბაიერნი“, „მილანი“, „ბარსელონა“, „რეალი“, „ჩელსი“ ერთდროულად კარგავდნენ უმეირფასეს ქულებს. ახლა კი ასე მოხდა და, მოგვიტყვეთ გაცვეთილი ფრაზისთვის: ფეხბურთი ხომ სწორედ ის თამაშია, სადაც პატარები მაღიმად აკარგვინებენ ქულებს დიდებს.

ჩვენი ვთქვათ, მაგრამ სხვისი... თანაც ვისი?!



კახა კალაძის ნოემბერი ნაეზადა



გუშინ მილანელმა ექიმებმა კახა კალაძეს სამწუხარო დიაგნოზი დაუსვეს — ბელგიურ „ანდერლექტთან“ საჩემპიონთალიგო მატჩისწინა ვარჯიშზე დასვეებული ქართველი მცველის ტრავმა სერიოზული გამოდგა. საქართველოს ნაკრების კაპიტანს მარცხენა ფეხი აქვს დასვეებული და, სულ მცირე, ერთი თვე ვერ ითამაშებს. სავარაუდოდ, კალაძე შუა დეკემბერში თუ შეძლებს მოედანზე გასვლას და ესეც იმაზეა დამოკიდებული, როგორ გაივლის სარეაბილიტაციო პერიოდი.



გიორგი ახვლედიანის სვეტი

დრამა სუნთქვა

ამ კვირაში ყველანი საქართველოს ჩემპიონატში მიმდინარე ჩხუბებზე ლაპარაკობდნენ. „დინამოს“ და „ოლიმპის“ თამაში, მსაჯე ლაშა სილაგავას კრიტიკა, მისი ძმის ფეხბურთელად ყოფნა „ამერის“, სხვა დიადი „აღმოჩენები“, რაც ქართულ ფეხბურთში თურმე ინტრიგებს და საიდუმლო გარეგების მინიშნებას იძლევა.

ლაპარაკობდნენ, ასევე, ფედერაციის რბილ სასჯელებზე ერთი გუნდების და უღმობელ სასჯელებზე სხვა გუნდების მიმართ. ძველ მაგალითებს იხსენებდნენ, თვალში საცემს და ყველასათვის ცნობილს.

თუმცა ამ მაგალითთა მოხმობით ბევრი არც არაფერი შეცვლილა.

ქართული საკლუბო ფეხბურთი ჯერ მანც საკმაოდ პროვინციულია იმისთვის, რომ დიდ გუნდებს გასწვდეს და თავის თავს მართლაც უთხრას, ყოველდღე ცოტათი უკეთესი უნდა ვიყო, ვიდრე წინა დღეს ვიყავი.

არის ასეთი ორიოდე გუნდი, რაც ცოტაა.

ისევე, როგორც საშინელება ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში, საშინელება გახლავს ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩხუბი.

ამ შემთხვევაში ყველაზე მაგარია: ქართველები ვართ, შეგინებას ვერ მოვითმენთ.

იმ დღეს მსაჯეს კი გინებაზე გინებით უპასუხია...

ფეხბურთის სიმართლე ეს არის: თუ გინებას ვერ ითმენ, მაშინ მკაცრი სასჯელისთვის მზად იყავი.

კანტონა და ზიდანი იყავი, ან ალან სმიტი, ან, რა ვიცი. მზად იყავი იმიტომ, რომ გავინილი გინება, რომელიც უნდა მოითმინო, სამწუხაროდ, თამაშში შედის და მასზე ქალაქურ პასუხს უმკაცრესი სასჯელი მოჰყვება ხოლმე.

ხოლო იქ, სადაც არ მოჰყვება ხოლმე, კანეშა, ვერ მოითმენ. ან რატომ უნდა მოითმინო, როცა შეგიძლია, არ მოითმინო. ამისთვის ბევრს არაფერს დავსჯიან.

ჩვენ ისე ლაღად ვწერთ: ზიდანიმ თავი ჩასცხო, მატერაციმ და და დედა შეუგინა, რუნიმ შეაფურთხა, ბარტეზმა იდეებილა... ქართულ ფეხბურთს რომ მივადგებით, დაიწყება ხოლმე შემაჯავებელი ფილოსოფია, ფიქრები, ურთიერთობა, ათასი სხვა რამე.

ვითომ ქართული საკლუბო ფეხბურთი საფილოსოფოსო იყოს, ზიდანი კი არა.

იმიტომ, რომ ზიდანი შორსაა. აქ კიდევ დრასტი-ზნაკომ. ეგ აბა, რეებს მალაპარაკებთ. ფეხბურთს საზღვრები არა აქვს.

უსამართლოდ დაესაჯეს ლაშა სილაგავა: პრეცედენტი იქნება!

29 ოქტომბერი, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი, ეროვნული ჩემპიონატის მეათე ტური, „დინამო“ — „ოლიმპი“ 1:0, გუნდური ჩხუბი მატჩის შემდეგ, „ოლიმპის“ ხელმძღვანელობის უკმაყოფილება არბიტრ ლაშა სილაგავას მიმართ — ამ ამბავს მოჰყვება სადისციპლინო კომიტეტის სხდომა და სანქციები, აგრეთვე მსაჯეთა და დამკვირვებელთა სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელზეც სილაგავას საკითხიც განიხილეს და დაადგინეს, რომ იგი უმაღლეს და პირველ ლიგებში ერთი ტურით დაისვენებდა.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით თავისი პოზიციის დაფიქსირება ფიფას არბიტრმა ლაშა სილაგავამაც ისურვა...



ლაშა სილაგავა

— ჯერ მათ მინდა ვუპასუხო, ვინც ჩემზე ამბობს, საერთაშორისო დონეზე ინტერტოტოს ვერ გასცდაო. უფასო თაისის „ვენტსპილსი“ — „გოლტუ“ ვიმსაჯე და შეფასება 8,1 დამიწერეს. შეფასების მაქსიმუმი 10-ია, თუმცა ისეა, რომ 8,5-ზე მაღალ შეფასებას არ წერენ. ევრო 2008-ის ორი მატჩი ვიმსაჯე: ანდორა — მაკედონიაზე 8,5 დამიწერა ისეთმა ცნობილმა მსაჯემ, ალფრედო ტრენტალანჯე რომ არის, ხოლო 8,3 მივიღე პოლონეთი — უელსის მსაჯობისთვის. შეფასება ასევე ცნობილმა მსაჯემ მელო პერიერამ დამიწერა.

— თქვენ მიმართ კრიტიკა გამოითქვა „დინამო“ — „ოლიმპის“ მატჩის მსაჯობის გამო...

— ითქვა, ვითომდა მატჩის წინ „ოლიმპის“ გასახდელში შევედი და „ოლიმპის“ მეკარეს მაისურის შეცვლა მოვთხოვე. ასეთი რამ არ მომხდარა, „ოლიმპის“ გასახდელში არ შევსულვარ. „დინამოს“ მეკარე გრიშკაშვილს ყვითელი მაისურა ეცვა, ხოლო „ოლიმპის“ მეკარე ალავიძის ფორმა ღია მწვანე აღმოჩნდა და ამ ფორმით გავიდა კიდეც სათამაშოდ.

ჩემზე ისიც თქვეს, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი საბლეიოფო შეხვედრა „გაგრა“ — „ცხინვალი“ ჩაშალაო. ხომ ყველამ კარგად ვიცით, რა მოხდა იმ შეხვედრაში — გუნდური ჩხუბი ატყდა და თამაში შეწყვიტეს, ამის სრული უფლება მქონდა. თამაში რომ გამეგრძელებინა, იქნებ კიდევ მომხდარიყო ჩხუბი და ვინმე რომ დაშვებულყო, მერე მე დამეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რის გამოც სასამართლოსაც შეეძლო ჩემი დადანაშაულება.

— „დინამო“ — „ოლიმპის“ შეხვედრას სამი წუთი დაამატეთ, არადა, ექვსი შეცვლა გაკეთდა და ტრავმებით თუ სხვა მიზეზებით გამოწვეული პაუზებიც იყო...

— თამაშს სამხანგვარი წუთი დავამატე და ვფიქრობ, ეს საკმარისი იყო. ექვსი შეცვლიდან ორი შესვენებაზე გაკეთდა, ხოლო როცა ჩემი გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო „ოლიმპის“ ფეხბურთელები დამესოვდნენ ხოლმე, ამის გამო დროს არ დავამატებდი.

— იყო სხვა პრეტენზიებიც...

— პრესაში დაიწერა, მსაჯისგან ეს თამაში გაყიდული იყოო. ახლა

კი თურმე ამბობენ, ამას ვერ დავამტკიცებთო.

— თუ სიმართლე თქვენ მხარეზეა, რატომ არ გსურთ, ცილისწამებისთვის სასამართლოში შეიტანოთ სარჩელი? საქართველოში რატომ არ არსებობს იმის პრეცედენტი, რომ მსაჯემა ცილისწამებისთვის სასამართლოში იჩივლოს?

— ასეთი პრეცედენტი იქნება — ამისთვის უკვე ვემზადები, იურისტებთან მაქვს კონსულტაციები.

— „დინამო“ — „ოლიმპის“ მატჩზე მსაჯეთა და დამკვირვებელთა სადისციპლინო კომისიის სხდომაზეც იმსჯელეს — თქვენ უმაღლეს და პირველ ლიგებში ერთი ტურით დაისვენებთ — რა კომპენტარს გაუკეთებდით ამას?

— ამ მატჩის დამკვირვებელმა სერგო კოტრიკაძემ 7,5 შეფასება დამიწერა, რაც ნიშნავს კარგს. ერთი სიტყვით, უსამართლოდ დავისაჯე და ჩემ დასჯას დასვენება დაარქვეს. თითო გამოტოვებული მატჩი უმაღლეს და პირველ ლიგებში — ამ მატჩების არბიტრობაში შესაბამისად 180 და 140 ლარი მერგებოდა, ჯამში 320 ლარი. დახეთ, რა გამოდის — სადისციპლინო კომიტეტმა ამ შეხვედრაში ყველაზე დიდი ჯარიმა ფეხბურთელისთვის 400 ლარი დააწესა... მოკლედ, ყველა ცდილობს, მე შემხსოცოს ხელი. ვფიქრობ, მსაჯეების პროფესიონალიზაციისთვის უნდა შეიქმნას, რომელიც ჩვენს ინტერესებს დაიცავს. მაგალითად, საფრანგეთში ახლახან მსაჯეების დასაცავად საგანგებო კანონიც კი მიიღეს, რადგან მსაჯეთა რაოდენობა კლებულობდა. ახალი კანონით, მსაჯეებს საზოგადოებრივი მოსამსახურის სტატუსი მიენიჭათ, ისეთი, როგორც, მაგალითად, პოლიციელებს აქვთ, რათა ამით მსაჯეების უსაფრთხოება გაიზარდოს — საზოგადოებრივი მოსამსახურის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ხომ უფრო მკაცრად ისჯება.

— მსაჯეთა ანაზღაურებებზეც ბევრი მითქმა-მოთქმა...

— ამით თაობაზე ჩემი მოსაზრება მაქვს — ანაზღაურების სისტემა ისე შეეცვალა, რომ მსაჯეებს მოჭრილი ხელფასი გვექონდეს კატეგორიების მიხედვით და მატჩებზე მუშაობის ხარჯებიც ავინაზღაურონ.

საქართველოს უმაღლესი ლიგა **18** ჩემპიონატი

ზისტაფონი. 5 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 4 000 (ტელევიზია 8 000)

ზესტაფონი 3:0 სიონი

<p>ზისტაფონი: ჭანტურია, საჯია, შ. ლონდაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, ნ. კვასცხაძე (გ. ხიდუშელი 89), განუგრავა (მამიაშვილი 89), ბ. ნოზაძე, ფიფია (სანტოსი 87), იონანიძე, სათადარიგო: რ. კვასცხაძე, იმედაძე, გოცირიძე, გ. ჭელიძე</p> <p>მწვრთნელი: თემურ მახარაძე</p>	<p>სიონი: ბათიაშვილი (ბობიაშვილი 26), კობაური, ფრიდოლინი, ლ. ჭელიძე, ჭიჭვიშვილი (ცოხი 46), შავგულიძე (ზ. ჭელიძე 46), რაჭვიაშვილი, კვიციანიშვილი, ლ. ბაგელიძე, ა. ალავეცი, ჩასემი, სათადარიგო: ქარდავა, ბ. ცხადაძე, ქურასხედიანი, ოქრობირიძე</p> <p>მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე</p>
<p>ბაზრისი: ფრიდოლინი (1), ლ. ჭელიძე (56), საჯია (62)</p>	
<p>მსაჯეები: გ. ვადაცხორია; ბ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ბ. დოგრაშვილი</p>	
<p>დაგამირვიანი: ვ. ქორიძე; დირექტორი: ვ. ეჯიბია</p>	

ნოკაუბი იმერლებმა ბოლნისელებს პრივის დროში მოუგეს

გორა ჯანაშია ზესტაფონიდან

ბალენდარი ისე იყო შედგენილი, რომ პირველ წრეში ზესტაფონის ჩემპიონატის ყველა ლიდერი სტუმრობდა. შესაბამისად, იმერულ კლუბს გაისად ურთულესი თამაშები ელის, მაგრამ ისიცაა, რომ შინაურ კედლებში თემურ მახარაძის შეგირდები, ასე თუ ისე, რიგაინად ხვდებიან კონკურენტებს. „ოლიმპის“, „დინამოს“ და „ამერის“ კვალდაკვალ ფეროელთა გუშინდელი სტუმარი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ იყო...

მახარაძის დაბრუნების შემდეგ „ზესტაფონი“ სხვა ჟინით ათამაშდა და „სიონმა“ მასპინძელს მხოლოდ საწყისი 12 წუთი გაუძლო. უკვე მე-20 წუთისთვის კი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. დი-



გუშინ ზურაბ ბათიაშვილს უიღბლო დღე ჰქონდა

აბ, სწორედ ამ დროში გაუტანეს ზესტაფონელებმა მეტოქეს სამი უპასუხო გოლი და დარჩენილი ტაიმ-ნახევარი ფორმალბად აქციეს.

ნამატჩეს ნინოშვილი გიორგი ყიფშიძე მარცხს მეკარე ზურაბ ბათიაშვილს აბრალბდა. ამაში ლოგიკის მარცვალი, რა თქმა უნდა, იყო. პირველად ბოლნისელოთა გამოცდილი მეკარე მაშინ შეცდა, როცა დაახლოებით 25 მეტრიდან ედიკ საჯიას საჯარიმო დარტყმას ვერ გაუმკლავდა. გოგი ფიფიას შთამბეჭდავი რეიდის უწესო შეჩერების გამო დაინიშნული ჯარიმა ედიკმა ცხრიანში შეაფრინა. დარტყმა ნაღდად რიგაინი იყო, მაგრამ ბათიაშვილს ახლო კუთხეში ბურთის აღება მართებდა.

ერთ წუთში დაბნეულმა „სიონმა“ მეორეც გაუშვა — იმავე ფიფიამ მოხდენილი პასით აქტიურ ნიკა კვასცხაძეს მარჯვენა ფლანგზე გაუჭრა და მასაც საჯარიმოში შესვლა და მეკარისთვის ტექნიკურად გატანა არ გასჭირვებია.

მე-20 წუთზე კი თითქოსდა გამოცოცხლებული სტუმრების ამბიცია წვიმამ და ისევ ბათიაშვილის შეცდომამ მალე ჩამორეცხეს. მარცხნიდან ჩაწოდებისას სტუმართა მეკარე სველი ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და გოლსმოწყურებულმა ზურაბ იონანიძემ საჩუქარი მშვილდ-ად შეირგო — 3:0.

გიორგი ყიფშიძემ სიტუაციის გამოსწორება სცადა და კარში მინდია ბობიაშვილი ჩააყენა. მან დარჩენილ დროში კარი მშრალად კი შეინახა, მაგრამ „სიონის“ სხვა ფეხბურთელებს გონს მოსასვლელად ეს არ ეყო.

შესვენებაზე გაკეთებულმა ორმაგმა ცვლილებამაც ვერ დაატრიალა წაღმა სტუმართა ჩარხი და მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა და ბურთის ფლობის მარცხენილი მათი იყო, საჯიას და სხვა საიმედოდ გარჯილ იმერულ მცველთა თამაშს ამან ვერაფერი გამოსტყუა.

თავად „ზესტაფონს“ კი შეტევაში თავი დიდად აღარ გამოუღია. ძალები შეინახა და მორიგი მშრალი მოგებით საჩემპიონო ამბიცია კიდევ უფრო გაიმყარა.



დინამოს მუსრუჭი ვიზ ჯორჯიაა

გაჭირვების ჩახური ტალკვამი: COME ON იაშკა



მის, პაატა დათუნაიშვილის არყოფნაში გიორგიმ (№26) უკვე მეოთხე გოლი გაიტანა



ილბლიანი რიკოშეტი: მიხეილ ხუციშვილის გოლი

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

დღესან უპრინის „დინამომ“ ეროვნულ ჩემპიონატში სამმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა და ეს მარცხი მესამედან მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითებად დაუჯდა — ჩემპიონობისთვის მებრძოლ „დინამოს“ ლიდერთან სხვაობა ცხრა ქულამდე გაეზარდა და საქმე ძალიან გაურთულდა.

„დინამომ“ წინა ტურში „ოლიმპთან“ გახმაურებული მატჩისგან განსხვავებული შემადგენლობით ითამაშა — დისკვალიფიცირებული გიორგი მერეაშვილი უპრინმა მხოლოდ გრიგალაშვილით შეცვალა, ვისაც თითქმის ორი თვე არ ეთამაშა „დინამოს“ მთავარ გუნდში; ნაგრიპალი მიხეილ ბობოხიძის ნაცვლად კი სასტარტოში მიხეილ ხუციშვილმა ითამაშა — ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელებული ბობოხიძე მხოლოდ შეცვლაზე შევიდა და რამდენჯერმე გაამწვავა თამაში.

„დინამომ“ იძულებითი ცვლილებების გარდა ტაქტიკურ ცვლილებებსაც მიმართა — „ოლიმპთან“

ნაცადი 4-5-1 სქემა 4-4-2-ით შეცვალა და, რაც ყველაზე ნიშანდობლივი იყო, „დინამოსგან“ ის პრესინგი ვერ ვნახეთ, რაც ერთობ ეფექტურად გამოიყენა გუნდმა „ოლიმპთან“ შეხვედრაში.

ვინდა თუ არა ჩემპიონობა! „დინამოსგან“ განსხვავებით, „ვიტ ჯორჯიას“ ასეთი მიზანი არ აქვს, თუმცა ერთხელაც დაამტკიცა, რომ საქართველოს ჩემპიონატში ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია და გუშინდელი სამი ქულით მეხუთედან მეოთხე ადგილზე აინაცვლა.

პირველ ტაიმში ვიტელები დიდად არა, მაგრამ მაინც აღმატებოდნენ მეტოქეს. მოედნის ცენტრი, ორთაბრძოლები, ფლანგები — ყველგან მოპოვებული მცირე უპირატესობა ისე დაჯამდა, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ შესვენებამდე ორი უპასუხო გოლი გაიტანა.

გიორგი დათუნაიშვილმა 14-15 მეტრიდან ახლო დაბალ კუთხეში დაურტყა სოსო გრიშკაშვილს და 1:0.

„დინამომ“ ვერა და ვერ დააღა-

გა თამაში, გუნდს თითქოს კონცენტრაცია აკლდა. „ვიტ ჯორჯია“ კი მეტოქეზე უკეთ ირჯებოდა, თუმცა ძალიან დიდი ძალებით არ მიდიოდა შეტევაში, რაციონალურად ანაწილებდა ჯანს.

ვიტელთაგან გიორგი მეტოქეზე გამოირჩეოდა, ვინც მოსვენებას არ აძლევდა „დინამოს“ დაცვას. მისი სახიფათო საჯარიმო დარტყმა გრიშკაშვილმა ხელბეჭეტი კი გააქვავა, მაგრამ, როცა გიორგიმ 14-15 მეტრიდან ცაციათი ჭკინტი დააძგერა ბურთს, დინამოელთა მეკარე უძლური აღმოჩნდა — 2:0.

ცოტა ხანში „ვიტ ჯორჯიას“ კვლავ მიეცა უპირატესობის გაზრდის შანსი — მეტოქემ ერთი მცველი მოხდენილად ჩამოიცილა მარცხენა ფლანგზე, კარის გასწვრივ ჩააწოდა, მაგრამ კარის ხაზიდან სანტიმეტრებში გაგორებული ბურთი ბადეში ვერავინ გადაგზავნა, მცველებმა იმარჯვეს.

მეორე ტაიმის პირველი ათი წუთი ნაცრისფერი და არაფრისმთქმელი იყო, მერე კი „დინამომ“ მოუმატა აგრესიას და ზეწოლას. მოე-

მცხეთა. 5 ნოემბერი. 14 საათი. ბრმაზი. 1 000 (ტყვადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 2:1 დინამო

10 დათუნაიშვილი (9), 20 მეტოქე (32), 20 ხუციშვილი (72)

ვიტ ჯორჯია: ბედიამილი, ჯაფარიძე, ა. კვიციანი, დ. ლომია, გველესიანი (თ. კობიაშვილი 70), დიდიშელაშვილი, გ. დათუნაიშვილი, დ. რაზმაძე, გ. მეტოქე (ბეჭვიაია 65), გელაშვილი (ბურიაშვილი 59), ფეიქრიშვილი (სათადარიგო: მიქაბერიძე, თ. ლონდაძე, კვანთაძე, ინჯგია მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე)	დინამო: გრიშკაშვილი, გ. კაშია, შ. კაშია, გიგაური, ნავალოვსკი, ლ. ხმალაძე, ამბროზიო (ჯ. დგალი 46), ს. კობახიძე, შ. გრიგალაშვილი (ბობოხიძე 56), ს. იაშვილი, ხუციშვილი (ლ. ნოზაძე 84) (სათადარიგო: ლორია; აკობია, თომაშვილი, ჩირიკაშვილი მწვრთნელი: დუშან უპრინი)
--	---

მაწვრთნელი: ჯაფარიძე (38), ხმალაძე (57), ბობოხიძე (82), ბეჭვიაია (84)

მაზაზამი: ლ. ფანიაშვილი; კ. გაბრიაძე, გ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩიშვილი

დნის ცენტრი „დინამომ“ აიღო, „ვიტ ჯორჯია“ დაცვაში გამაგრდა, ორთაბრძოლებშიც უფრო ღონივრად დინამოელები გამოიყურებოდნენ.

მაგრამ როგორ გამოიყენა ასეთი უპირატესობა „დინამომ“? უპრინის გუნდმა კარგად ნაცად ტაქტიკას მიმართა — მაღალი ჩაწოდებები სანდრო იაშვილისკენ. ასეთი იერიშებით „ვიტ ჯორჯიას“ დაცვას კარგი დღე არ დაადგა — იაშვილმა თითქმის ყველა მაღალი ბურთი მიიღო და „დინამოს“ იერიშებს ძალიან ამწვავებდა. შტურმი არ ეთქმოდა, თუმცა, შეიძლება ითქვას, გოლი მწიფდებოდა და მოსახდენიც მოხდა — იაშვილის მორიგი ჩაუქობის შემდეგ ბურთი ხუციშვილს მიუვიდა, მის ახლოდან დარტყმულს გრიგოლ ბედიამილი კი გადაეღობა, მაგრამ უკუგდებული ბურთი იმავე ხუციშვილს მოხვდა და კარში შეეკარდა.

COME ON იაშკა, COME ON! ამხნევებდა უპრინი იაშვილს, რამეთუ ვიტელებს ყველაზე დიდ პრობლემებს სწორედ იაშვილი უქმნიდა. სანდრო რამდენჯერმე ისევე მოიგო მაღალი ბურთი. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე კი ბობოხიძეს თავით დაუგდო, მაგრამ დინამოელის მახვილი კუთხიდან დარტყმული მიზანს ასცდა.

პრესკონფერენცია

ნესტორ მუმლაძე: საინტერესო მატჩი გამოვიდა. პირველი ტაიმი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, მეორეში, ცოტა არ იყოს, პოზიციები დავთმეთ, მაგრამ ეს პირველ ტაიმის შედეგითაც იყო განპირობებული. დასანანი გოლი კი გავუშვით, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა თავდადებით ითამაშეს.


დუშან უპრინი: პირველ ტაიმში მეტოქემ გვაჯობა, „ვიტ ჯორჯიამ“ აგრესიულად ითამაშა. ორჯერ დაარტყეს კარში და ორჯერვე გაიტანეს. მეორე ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოვახერხეთ. ისიცაა, რომ გრიგალაშვილს დიდი ხანია, არ უთამაშია, ხოლო ხუციშვილმა პირველად ითამაშა ამ პოზიციაზე.

ამერი	11	9	2	0	23:2	29
ოლიმპი	11	9	1	1	29:3	28
ვიტ ჯორჯია	11	7	3	1	20:13	24
ზესტაფონი	11	7	3	1	16:3	24
დინამო	11	7	0	4	18:9	21
ტორპედო	11	6	3	2	13:6	21
სიონი	11	5	2	4	15:10	17
ბორჯომი	11	3	2	6	15:21	11
ლოკომოტივი	11	3	2	6	9:16	11
მერანი	11	3	2	6	8:20	11
ჩიხურა	11	2	3	6	8:18	9
ბათუმი	11	2	2	7	9:11	8
დილა	11	0	2	9	5:31	2
ჯახეთი	11	0	1	10	9:34	1





ამერკა მერანი ღრუბელივით შეინოვა. ამინდის ღრუბლიანობდა



სულიკო დავითაშვილის მორიგი გოლი და ამერელთა მორიგი მოგება გერმანიიდან ჩამოსულმა რალფ მინგემაც იხილა

გადამცემი კომპანია ფოტოგრაფი

თბილისი. 5 ნოემბერი. 14 საათი. მიხეილ მისისი. 100 (ტყვადობა 25 600)

ლოკომოტივი 0:3 ბორჯომი

0:1 მუშუდიანი (20), 0:2 გამგზავნი (25), 0:3 ლონდაძე (72)

ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე (ჩივაძე 46), ებრაელიძე, გ. კახიანი, კუპრეიშვილი (დეისაძე 72), დ. ფოფხაძე, გულორიძე, კ. ავალიანი (ალავერდიაშვილი 29), ვ. გოთაშვილი, ყენია, მ. ფლნტი, სათადარიგო: მიგინიშვილი, ბახტაძე, მიხაილიძე, ებანიძე

ბორჯომი: კოდალაძე, გამგზავნი, გოგია, გურული, დოლონაძე, ზ. ჩხეტიანი, ბერუაშვილი, კრასოვსკი (მ. ლონდაძე 63), ქუთათელაძე (ლალაძე 29), მუშუდიანი (ცქვიტაია 46), წიქარიშვილი (სათადარიგო: ქვილითაია, ნ. ნადირაძე, ა. კვერცხაძე, ჭედიანი)

ბაზრისილაძე: ჩივაძე (63), ზ. ჩხეტიანი (74)

მსაჯეპი: ვ. ელისაბედაშვილი; მ. ელიკაშვილი, გ. ყრუაშვილი; ვ. გუმბერიძე

დამამკვირვებელი: ს. კუტივაძე; დირექტორი: შ. ბაქრაძე

ქუთაისი საპარდო და საფორპარდო

მიხეილ შორაშვილი

„მიხეილ მისისი“ სტადიონის გახსნაზე საქართველოს თანხის ფინალში სწორედ „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ შეხვედრენ ერთმანეთს. მაშინ ვაკეში 25 000 გულშემატკივარი ადევნებდა თვალს თამაშს, გუნდს კი ასიოდე კაცი ძლივს მოგროვდა.

შეხვედრა ორივე გუნდმა სწრაფ ტემპში დაიწყო. რკინიგზელთა მხრიდან ეს გასაკვირი არც იყო, მაგრამ ქუთათურებმა კი გაგვაკვირვეს — აქამდე დაცვითი ტაქტიკით მოთამაშე გუნდმა სამი თავდამსხმელი დაიწყო თამაში.

მე-5 წუთზე ზურაბ მუშუდიაძემ შეამოწმა მეკარის მზადყოფნა, შემდეგ ვლადიმერ გოჩაშვილმა და ლევან ბერუაშვილმა გაკვალეს არა-ზუსტი დარტყმები, მე-12 წუთზე კი რკინიგზელთა ლიდერმა ლევან ყენიამ ითამაშა კარგად მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ მისი დარტყმული ზუსტად იქ წავიდა, სადაც ბესო კოდალაძე იდგა.

მე-19 წუთზე „ლოკომოტივი“ ხელოვნური თამაშარეს შექმნას ცდილობდა, არ გამოუვიდა და გვარამაძის პირისპირ ერთბაშად ჯამი ქუთათური აღმოჩნდა, თუმცა ზვიად ქუთათელაძემ იმდენი „მოახერხა“, რომ ებრაელიძეს ბურთი კუთხურზე გადაადგებინა. ზვიად ჩხეტიანის კუთხურის დავით გამგზავნი ვილი შეწვდა, თავით მუშუდიაძის გადააწოდა და — 0:1.

ორ წუთში „ლოკომოტივის“ გათანაბრება შეეძლო, მაგრამ მიხეილ ფლნტი კოდალაძეს ვერ აჯობა.

გოლის გატანა მართებდა ტორპედოელ მანუარ წიქარიშვილსაც, მაგრამ მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩენილს სისწრაფე აღარ ეყო.



გადამცემი კომპანია ფოტოგრაფი

თბილისი. 5 ნოემბერი. 14 საათი. ბმირი. 700 მაყურებელი

ამერი 4:0 მერანი

1:0 დოლიძე (13), 2:0 წინამძღვრიშვილი (21), 3:0 დავითაშვილი (45), 4:0 ტატანაშვილი (73)

ამერი: ქვარაჩია, გ. ელბაძე, ხვადაგიანი (გვაძაბია 75), დიდავა, ჩიკვილაძე, ჯელიძე, ბოლქვაძე, დოლიძე, დობროფოლსკი (დ. მჭედლიშვილი 55), ს. დავითაშვილი (ტატანაშვილი 66), წინამძღვრიშვილი (სათადარიგო: ლ. ნადირაშვილი, გაბისკირია, სევასტოპოლო, სილაგაძე)

მერანი: სეფიაშვილი, თურქია, ჯანგიძე, სარალიძე (შველიძე 46), კობერიძე, ბესარაშვილი, ხურცილაძე, ლ. მანუკაძე, გაგუა, ფურთუხია (ბურჯანაძე 38), ქემაშვილი (შოშიაშვილი 70), სათადარიგო: ნეფარიძე, სულაქველიძე, დათუნაშვილი, თ. მჭედლიშვილი

ბაზრისილაძე: ხურცილაძე (14), ჩიკვილაძე (23), ელბაძე (34), ქემაშვილი (55), ჯელიძე (57), დიდავა (77), ბოლქვაძე (83), დოლიძე (86), ბესარაშვილი (88)

მსაჯეპი: ლ. კვარაცხელია; გ. ჩიგოგიძე, ბ. ჭიჭინაძე; თ. ხეციძე

დამამკვირვებელი: თ. გუნთაძე

კობა ინასარიძე

გაუბინდელ მატჩამდე უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „მერანს“ სამი მოგება ჰქონდა და სამივე სტუმრად. „ამერთან“ მატჩში კი კალენდრით „მერანი“ უნდა ყოფილიყო მასპინძელი, მაგრამ, ვინაიდან ამ გუნდის მშენებარე ახალი სტადიონი ჯერაც დაუმთავრებელია, ორმხრივი შეთანხმებით, პირველი წრის შეხვედრა გლდანში შედგა. შესაბამისად, სტუმარი „მერანი“ გახლდათ და, თუ თავშივე ნახსენებ ამბავს გაეიხსენებთ, ლიდერ „ამერისთვის“ მატჩი იოლი არ უნდა გამოსულიყო. პირიქით კი მოხდა, „ყვითლებმა“ საქმე პირველივე ტაიმში მოამთავრეს — 3:0 მოიგეს და შესვენების შემდეგ უკვე ორი ამდენი ნაღდი საგოლე მომენტი გააცუდეს, თუმცა ერთის გატანა მაინც მოახერხეს.

„ამერს“ ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი აკლდა — კაპიტანი გიორგი დავითიძე დისკვალიფიცირებული იყო, ხოლო გიორგი დეკანოსიძე ავადდა. დავითიძის არყოფნაში „ყვითლები“ მოედანზე ზურაბ ქვარაჩიამ გაიყვანა, რომელმაც საქართველოს ნაკრების

მწვრთნელის თანაშემწის რალფ მიხეისა და მეკარეთა მწვრთნელის მამუკა აბუსერიძის თვალწინ ამჯერადაც მშრალად შეინახა კარი. თუმცა მეორე ტაიმის საწყის წუთებში, როცა მასპინძლებმა „მერანს“ უპირატესობა და შუა მოედანი განებდნენ დაუთმეს, შესაძლო იყო, „ამერს“ ჩემპიონატში მესამე გოლი მიეღო — ქვარაჩიამ გუნდი გადაარჩინა: ორიოდ მეტრიდან ლაშა მანუკაძეს დარტყმული მოიგვრია. აღვნიშნოთ, რომ ამ ეპიზოდში ვალერი გაგუამ გააკეთა ჩინებული პასი, ხოლო მანუკაძემ პოზიციური ბრძოლა მოიგო, უხერხული მდგომარეობიდან დაარტყა. სულ ეს იყო, რაც „მერანმა“ „ამერის“ კართან მოახერხა. იმ 15 წუთის შემდეგ კი მასპინძლებმა ისევ სათავისოდ წაიყვანეს თამაში.

მწვრთნელმა გიორგი ჩხრაძემ მარჯვენაფლანგული მცველი გივი დიდავა ჯერ საყრდენ ნახევარმცველად აწია, შემდეგ ცენტრალურ მცველად დაწია, რატი წინამძღვრიშვილს დიმიტრი ტატანაშვილი შეაშველა და „მერანს“ შეტევის მანძილზე მოუსპო.

ვიდრე „ამერი“ ანგარიშს გახსნიდა, რამდენიმე წუთით ადრე წი-

ნამძღვრიშვილს საგოლე ორი ნაღდი მანძი გაუცუდდა, მან ერთხელაც ვერ შესძლო ხეირიანად დარტყმა, თუმცა გრიგოლ დოლიძის გოლისას დიდი წილი თავად დაიდო — საჯარიმოს გარეთ გაგორებულ ბურთს კი დოლიძემ ისეთი დაპკრა, კონსტანტინე სეფიაშვილს რეაქციაც არ ჰქონია.

მალევე „ამერს“ მეორეც უნდა გაეტანა, მაგრამ უკვე სეფიაშვილმა იმარჯვა — დავით ბოლქვაძეს, რომ იტყვიან, აუღებელი აუღო. თუმცა მასპინძლებს სწვაობის გაზრდა არ დაუგვიანებიათ — წინამძღვრიშვილმა ისარგებლა „მერანის“ საჯარიმოში დავითაშვილის დრიბლინგსმოყოლილი არეულობით და თავისი გოლი გაიტანა. მანვე მოვინებოთ ხარისხა შეჯანჯარა, პარტნიორები სეფიაშვილთან პირისპირაც დატოვა, მაგრამ თავად ველარ შეავლო...

მასპინძლებმა ორბურთიანი უპირატესობა რომ მიიღეს, ერთი შეხედვით, თითქოს დაწყნარდნენ, შიგადაშიგ კი ისეთ შეტევებს გამოუჩვენებდნენ, კოლაძე ერთი ნაბიჯი და ზუსტი დარტყმა რომ აკლდა. ეს მორიგი ერთი ნაბიჯი და ზუსტი დარტყმა რომ აკლდა, ეს მორიგი ერთი ნაბიჯი და ზუსტი დარტყმა რომ აკლდა. ეს მორიგი ერთი ნაბიჯი და ზუსტი დარტყმა რომ აკლდა.

შესვენების შემდეგ რაც მოხდა, უკვე ვთქვით, მასპინძლებმა უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, ისეთი ეპიზოდები იყო, როცა ერთბაშად ოთხი ამერელი შერჩა „მერანის“ მეკარესა და მცველს, მაგრამ გოლი ისევ ვერ გაიტანეს. სხვა მეტოქესთან ასეთი დაუდევრობა „ყვითლებს“ შეიძლება, ძვირად დაუჯდეთ. ამჯერად კი „ამერმა“ მორიგი სამი ქულა და ოთხი უპასუხო გოლი უპრობლემოდ მიიღო და სატურნირო ცხრილს ისევ მწვერვალთან დაჰყურებს.

გორკელთა გენგანია



რევაზ გვცელაშვილი

ილია ნანობაშვილი რუსთაფიდან

სუთი ფეხბურთელის არყოფნა ნებისმიერი გუნდისთვის სოლიდური დანაკლისია და არც „ოლიმპია“ გამონაკლისი, მაგრამ გაანჩია, ვისთან — გორის „დილა“ რუსთაველთა გასაჭირით ხელი ვერ მოითბო, მხოლოდ 24-ე წუთამდე გაძლო და მერე გოლები პანტაპუნტით დაწვიმდა. ლამა ქებაზე, მიხეილ მახვილამდე, თორნიკე აფციაური, ბესიკ მიქიაშვილი, გონა ხოჯავა: ეს მოთამაშეები აკლდა „ოლიმპს“ დისკვალიფიკაციის გამო.

მე-13 წუთი იყო, გორელებს კარგი კომბინაცია რომ გამოუვიდათ და გორგი აბრამიშვილმა საგოლედ გაისროლა — 0:1. ბოლოდან მეორედ გვიღო სანი „დილა“ მეორედ გვიღო სანი „დილა“ დაწინაურდა!

და მაინც, სენსაციის სუნი ამ თამაშს არ ეტყობოდა, მანამდეც და შემდეგაც ბურთს თითქმის სულ რუსთაველები ფლობდნენ და მატჩი ხეირიანად არც დაწყებულიყო, ლამა მიმინოშვილის პასით ვია თოდუას თავურმა ძელი რომ აახმაურა.

მოკლედ, „დილა“ გაიტანა და მისია ამოწურა, მასპინძლები კი

მაგრად მიაწვინენ და 24-ე წუთზე გორგი ინიანმა პენალტით გაათანაბრა — ვლადიმერ დვალისვილმა საჯარიმო დაარტყა, ბურთი ცოცხალ კედელში მდგომ ერთ-ერთ გორელს ხელზე მოხვდა და მსაჯმაც თეთრი ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი.

მასპინძელთა დამწინაურებელი გოლი ისევ დვალისვილის მონაწილეობით გავიდა — ლადომ რევაზ გვცელაშვილს უპასა და 2:1. ეს 33-ე წუთზე მოხდა. ტაიმის ბოლო სამ წუთში კი „დილას“ კართან ქარა-შოტი ტრიალებდა: თოდუას გასროლილი ძელიდან ასხლეტით შევარდა კარში — 3:1; გვცელაშვილმა ფლანგიდან მიაცილეს კარამდე გორელებმა და მანაც უმახვილესი კუთხიდან 4:1 გახადა ანგარიში; წუთშივე გვცელაშვილმა მელს გაარტყა, შემდეგ მეკარეს სახეში გაარტყა ბურთი და შესაცვლელი გახადა, გადმოვარდნილ ბურთს კი გორგი კახელიშვილმა დაჰკრა, მაგრამ... ისევ ძელი!

მეორე ნახევარი ძალიან უინტერესო იყო და მომენტები თუ იქმნებოდა, ისევ მცველთა დაუდევრობის გამო. მასპინძელთაგან ორჯერ ვახტანგ კვარაცხელიამ გაანიავა შანსი, გორელთაგან კი და-

ოლიმპი 5:1 დილა
0:1 აბრამიშვილი (13), 1:1 გ. ინიანი (24), 2:1 გვცელაშვილი (33), 3:1 თოდუა (42), 4:1, 5:1 გვცელაშვილი (44, 56)
ოლიმპი: მ. ალაგვიძე, მიმინოშვილი (ვ. კვარაცხელია 46), რ. ინიანი (ზობონიშვილი 68), სუბუა, გ. ინიანი, გ. თოდუა, სეთურაძე, გვცელაშვილი (კაკაბაძე 64), სირბილაძე, კახელიშვილი
სათადარიგო: ნაჭყვიაძე, თორნიკე, ოდიშარიანი
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე
დილა: კეცხუაშვილი (თ. ილურიძე 46), მასურაშვილი, ბალიაშვილი, სადალაშვილი, კურტანიძე, აბრამიშვილი, ტლაშაძე (ზ. ელბაძე 46), გ. ნინამდღვრიშვილი, ი. თაყაიძე (ქავთარაძე 56), ვ. სომხიშვილი, ვარდოსანიძე
სათადარიგო: ა. ლაბაძე, ლომიძე, ვაჩიშვილი, ოლგესაშვილი
მწვრთნელი: რევაზ მამესწარაშვილი
მასპინძელი: სადალაშვილი (20), ილურიძე (73), კახელიშვილი (80)
მსაჯები: ვ. ჭაჭუა; დ. კვეციანიძე, დ. ხანოძე; ა. ნონიკაშვილი

ვით ტლაშაძემ ააცილა ოდნავ, გორგი ქავთარაძემ კი ძელი „მოიკითხა“.

პრესკონფერენცია

რევაზ მამესწარაშვილი: ახალგაზრდული გუნდი გვყავს, „ოლიმპი“ ჩვენზე გაცილებით ძლიერია და შედეგიც ლოგიკურია. მეორე წრიდან ფინანსურად მოძლიერდებითო, გვპირდებიან და ჩვენც ამის იმედდ ვართ.
გიორგი კიკნაძე: ამდენი ფეხბურთელის არყოფნაში იოლ თამაშს არ ველოდი. სამწუხაროდ, ირაკლი სირბილაძემ ტრავმა მიიღო და მატჩიც ამიტომ ვერ ჩამთავრა. მომდევნო ტურში, „ამერთან“ უპრინციპულეს შეხვედრაში ზოჯავას გარდა ყველა დისკვალიფიცირებული დაგვიბრუნდება. მანამდე კი სათასო მატჩი გვაქვს და იქაც წარმატებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

ბურთების ოდენობით და გვცელაშვილის თრიქით: „ოლიმპის“ მარცხენა ფლანგელმა 56-ე წუთზე დაბალი ბურთი შეასროლა „დილას“ კარში და 5:1-იც ასე გამოცხვია.

ამირანის ჯაჭვი დისკვალიფიკაცია

საჩხარამ. 5 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 300 (ტევადობა 3 000)

ჩიხურა 1:0 ბათუმი
10 მერეზაშვილი (59)
ჩიხურა: მამალაძე, მემარნიშვილი, ლ. მერეზაშვილი, ს. ბურნაძე, თედორაძე, ჩომბიძე (სტეფანიშვილი 89), მესხი, ბუცხრიკიძე, მარგალიტაძე, კაკაბაძე (დ. ვაშაძე 85), მიქაძე (სულთანოშვილი 90)
სათადარიგო: დოლაძე, ჩხაიძე, გვეტაძე, ბრეგვაძე
მწვრთნელი: სვიჩა ქასრაშვილი
ბათუმი: თოთლაძე, ექონია, უ. ლობჯანიძე, გალოგრაძე, აბშილაძე, ჯინჭარაძე (ოქრუაშვილი 61), ცანავა, კოშკაძე (ბეჟანიძე 70), კუნჭულია (ტულუშვილი 81), რ. ჯიქია, გოგოლაძე
სათადარიგო: გ. სომხიშვილი; ნაჭყვიაძე, ფარტუხაძე, ქორიძე
მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე
მასპინძელი: ა. კრიჭიაშვილი; ვ. ერქვანიანი, ზ. მინთუაშვილი; ზ. ასკაროლი
დაამპირი: მ. მალაფერძი

ოთარ აბსისაძე საჩხერისა

„ჩიხურა“ ამ შეხვედრაში უეჭველ სამ ქულას გეგმავდა და ასეც მოხდა.

მასპინძლებმა ყველა კომპონენტში დაჯახნეს მეტოქე, რომელიც დისკვალიფიცირებული ამირან მუჯირის გარეშე თამაშობდა და ეს ძალიანაც დაუტყობო. ზღვისპირელები ერთადერთხელ დაემუქრნენ „ჩიხურას“ — 63-ე წუთზე ექსპრესიულმა დავით გოგოლაძემ ბურთი კარს გადააცილა.

საერთოდ, პირველმა ტაიმმა ძალიან უინტერესოდ ჩაიარა და ორადლორი მომენტი ჩავინიშნეთ. სულ ეს იყო...

შოთა ჩომბიძემ კარგად შენიშნა მიხეილ კაკაბაძე, რომლის დარტყმულიც მეკარემ მოიგერია. მერე კი გორგი მიქაძემ მოატყუა

მცველი და ედიშერ მარგალიტაძეს დაუგორა ბურთი — ამჯერად დარტყმა არაზუსტი გამოდგა...

მეორე ნახევარი საჩხერელებისა გამოდგა. ტაიმის დასაწყისშივე მიხეილ მესხმა შორიდან გაისროლა და ბურთი ზემოდან გადაეცლო კარს. 55-ე წუთზე მიქაძემ იოლად ჩამოიცილა მეურვე და ბურთი ჩომბიძეს გადააწოდა, რომლის დარტყმულიც ბათუმელ მცველს მოხვდა — „ჩიხურა“ ხელით თამაშს და თერთმეტმეტრიანს ითხოვდა, მაგრამ ალექსანდრე კრიჭიაშვილმა სხვაგვარად განსაჯა.

წუთში იმავე მიქაძემ ბურთი მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა და კაკაბაძის თავურმა არ უწია მიზანს...

შეიძლება ითქვას, მიქაძემ სისხლი გაუშრო ბათუმელებს — მის მორიგ დარტყმულს თოთლაძე ფეხით დაუხვდა.

ამ შტურმის ბოლო კი საჩხერელთათვის ნანატრი გოლი იყო — ჩომბიძის ჩაწოდებულს დევან მერეზაშვილმა თავი დაჰკრა და 1:0. მასპინძლებს გატანა მერეც შეეძლოთ, მაგრამ... ბოლო წუთებზე ლამა ვაშაძემ 30 მეტრიდან ისეთი ჯარიმა დააქუხა, მაყურებელთა მხურვალე ოვაცია გამოიწვია...

პრესკონფერენცია

ამირან გოგიტიძე: ვულოცავ „ჩიხურას“ დამსახურებულ გამარჯვებას. ჩვენ მოედინის ცენტრი მიღიანად დაგვარგეთ და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რა ძალაა ჩვენთვის ამირან მუჯირი.
ვახტანგ თურმანიძე: „ჩიხურას“ მეორე მწვრთნელი: ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და გაიმარჯვეს კიდევ, რისთვისაც მათ მაღლობას ვუტყვი.

მასხარაშვილი დაუღალაფე დაპარაკობს კახელეები ჰიბრიდნაზე

გიორგი კაციტაძე თელავიდან

„მე ხელები დამიბანია, „კახეთის“ გადარჩენა შეუძლებელია“ — ამ სიტყვებით დაამთავრა ჯემალ მასხარაშვილმა პრესკონფერენცია. „კახეთი“ მარიალაც განწირულია, თუმცა არაუინ იცის, რა მოხდებოდა, მასხარაშვილს ცოტა ადრე რომ „დაეებანა ხელები“.

პირველი დარტყმა სტუმრებისა იყო — მე-6 წუთზე მოდებამდე მცირედით ააცილა.

გამოხდა ხანი და ისევ ბორჯომელმა, შოთა ჯიქიამ დაარტყა ძლიერად — გორგი ცინაძემ იყოჩაღა. ორიოდ წუთში კი ზაქრო ბიძინაშვილმა ორი მცველი ჩამოიშორა, მა-

გრამ ბურთი ბოლოწამს ააცალეს ფეხიდან.

სტუმრებმა თავისი 33-ე წუთზე გაიტანეს — კონტრიერიშისას ირაკლი კიკნაძე დარჩა მეკარესთან პირისპირ და 0:1.

ამის შემდეგ მასპინძლები თითქოს გააქტიურდნენ, თუმცა ერთადერთ სახიფათო მომენტსლა გამოჩნენ — ნიკა დავითაშვილს მეკარემ აულო.

სტუმართა უპირატესობა მეორე ტაიმშიც იგრძნობოდა და სტუმრებს დიდი ანგარიშით მოგება მეკარე გორგი ცინაძემ არ დაანება — მან ჯერ მოდებამის, შემდეგ კი ოლივერ ნეკემის დარტყმულები მოიგერია. 70-ე წუთზე შოთა ჯიქიამ კუთ-

ხურიდან ჩააწოდა ბურთი, გივი ქარქოზაშვილმაც ყველას დაასწრო და თავურით იხეირა — 0:2.

პრესკონფერენცია

ჯემალ მასხარაშვილი: ვულოცავ მოწინააღმდეგეს გამარჯვებას. „ბორჯომი“, ჩვენგან განსხვავებით, პერსპექტიული გუნდია. დაფინანსება ადარ გვაქვს და გუნდი, ფაქტობრივად, დაშლილია. მე ხელები დამიბანია „კახეთის“ გადარჩენა შეუძლებელია.

ვლადიმერ ხაჩიძე: დიდი მაღლობა ბიჭებს, უმინშენლოვანესი სამი ქულა მოვიპოვეთ. ამ სეზონში უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ვიბრძვით.

კახეთი 0:2 ბორჯომი

თელავი. 5 ნოემბერი. 14 საათი. მ. ჩოხელი. 300 (ტევადობა 6 000)


კახეთი: ცინაძე, ტარულაშვილი, ლომიძე (ა. ბურნაძე 67), მურველაშვილი, მალაქელიძე, კობაიძე, კვეციანიშვილი, ნ. დავითაშვილი, ბიძინაშვილი (ამირანიძე 34), ნუნუნავა, ცისკარიშვილი (ძამუცაშვილი 46)
სათადარიგო: ქუთარაშვილი, გერგიშვილი
მწვრთნელი: ჯემალ მასხარაშვილი
ბორჯომი: შეყრილაძე, გოგინიაშვილი, ბაქრაძე, ქარქოზაშვილი, ნეკემი, თედიაშვილი, ზ. ავალიანი, მ. ჯიქია (ბენდელიანი 81), ი. კიკნაძე, მოდებაძე (მონგი 73), ნ. ლომიძე
სათადარიგო: ჩაფიძე, სუხიაშვილი
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე
მსაჯები: დ. ხანია; ე. ნარმანიანი, ზ. ბერულავა; მ. მაისურაძე



საქართველოს ჩემპიონატი

ლიდერის დაბადება

აზობა სუპერლიგაში ბოლი ვერ იპოვა



რუსთაველა კოტე ტულუში ბურთი კბილებით დაიცვა

4 ნოემბერი
სპორტის სასახლე

ავიანთი 82:04 აზობი
19:27 14:28 22:21 27:28

ავიანთი: ი. ბერიშვილი (6), ხოშტარია (24), კვიციანი (3), ბარბაქაძე (9), ბაბიაშვილი (16); ნიკოლაძე (11), როდუშა (9), დ. ბერიშვილი (4)

აზობი: გამყრელიძე (13), ბოსია (4), გოგობერიშვილი (11), ბეგანიშვილი (6), უგრეხელიძე (14); დიდა (17), მარკოშვილი (16), ტუფანი (9), ციკავა (3), ტულუში (10), ჭოჭუა (1)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე
კომისარი: მურმან ქურდიე

სტუ 96:89 დინამო
29:20 16:27 26:16 25:26

სტუ: კობრიძე (9), ბერაია (37), ბაბუნაშვილი (7), დევიძე, ახალკაცი (19); ეშგვერაძე (6), ბარბაქაძე (9), ლ. ნოზაძე (8), სეფისკვერაძე (1)

დინამო: ბადრიძე (15), გულისაბუღაშვილი (11), ლაფანაშვილი (7), ნ. ნოზაძე (9), გვიმრაძე (19); ბექაური (8), კოლუაშვილი (8), მურჯიკიანი (7), კეშელავა (5), სიგუა, ფაქიძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ გელოვანი

ოსუ 96:73 მბაზი
14:13 26:19 25:18 31:23

ოსუ: ვეფხვაძე (8), ბ. ბერიშვილი, ჯანჩულიძე (8), მათიაშვილი (6), იმნაძე (13); ლეფავა (20), არნიციძე (11), ხეცურიანი (10), შანიძე (6), სანიციძე (6), მ. ბერიშვილი (6), ტყემელაშვილი (2)

მბაზი: დოლიძე (2), ნინუა (2), კორკოტაძე (15), ს. შერმადინი (7), გ. შერმადინი (36); მაისურაძე (6), კორძაძე (5), პირველაშვილი, ხორავა, ენუქიძე

მსაჯები: ზაზა მანლაძე, მალაზა ანდლუაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ირაკლი პერტაია

სეზონი ახალი დაწყებულია და წინასწარ რამის გადაჭრით მტკიცება გაუმართლებელია, თუმცა რაც აქამდე ვნახეთ, იქიდანაც შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რუსთაველები წლებულს ნანატრ ჩემპიონობას მოიგებენ, თანაც ისე, ალბათ დიდი ჯაფა და ჭაპანწყვეტა არ დაადგებათ.

„აზობი“ დაუმარცხებელია, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ალბათ ისაა, რომ რუსთაველებმა შაბათს მოქმედი ჩემპიონი და ახლაც პირველობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი „ავიანთი“ დააჩოქეს. მოგებაცა და მოგებაც — „აზობმა“ კი აიღო და ისე დაამარცხა ლევან მოსეშვილის გუნდი, რომ თითქოს ერთ-ერთ რიგით უხელფასო გუნდს ეთამაშებოდა და არა მოქმედი ჩემპიონს.

ვერ ვიტყვით, სათამაშო კლასი ვნახეთ, დედა, ეს რა იყო, მაგრამ რუსთაველთა ბურთაობას ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე წუნი არ დაედებოდა. ზოგადად, „აზობს“ „ავიანთზე“ თვალმისაცემად ძლიერი შემადგენლობა არ ჰყავს, მაგრამ რუსთაველები ისე დახვეწილად და გახვრებულიად ეთამაშობდნენ, დიდი ამბიციის მქონე „ავიანთებზე“ უმსსოდ დატოვეს.

ტურის ამ ცენტრალურ შეხვედრას ეროვნული ჩემპიონატის ხალვატ ტრიბუნების გათვალისწინებით ბლომად გულშემმატკივარი დაესწრო, რომელთა შორისაც ავლაბრის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის ბინადარნიც იყვნენ. სუპერლიგის მესვეურებს სწვევით ნაირგვარი სიახლეების შემოთავაზება და ამჯერად საქველმოქმედო აქცია მოაწვევს.

ავლაბრის ბავშვთა სახლს ზურაბ ზვიადური, ლაშა გუჯავაძე, ზაზა კეღელაშვილი და სხვა ცნობილი ძიუდოისტ-მოჭიდავეები ეწვივნენ, რომლებმაც მშობლის სითბოს მოკლებულ პატარებს ტკბილი მიუტანეს და სპორტის სასახლეში „ავიანთი“ — „აზობის“ მატჩზე დააბატივეს.

ერთი ეგ იყო, რომ ცენტრალურმა მატჩმა არ გაამართლა. მყურებლისთვის საინტერესო დაძაბულობა მხოლოდ პირველ მეოთხედში ვიხილეთ, ხოლო მერე რომ მიჰყვნენ რუსთაველები, „ავიანთის“ ხელი აღარ გაანძრევინეს.

მაინც რა მოხდა, ასე იოლად რატომ იმარჯვა „აზობმა“ ამ თითქოსდა ტოლძალთან თამაშში? სიწრაფე, სიზუსტე, შეუპოვრობა და დისციპლინა — მოსაგებად აუცილებელი ეს კომპონენტები რუსთაველებს არ აკლდათ. თამაშის ერთი თვალის შევლებით შეამჩნევდით, რომ ქვემოქართლები ზუსტად ასრულებდნენ მწვრთნელის დავალებას, ხოლო „ავიანთები“ მიმედ და შებოჭილად თამაშობდნენ.

მატჩის საუკეთესოდ დასახელებულმა ლაშა გამყრელიძემ ნამატჩევს თქვა: დაცვაში ვიყოჩაღეთ და მეტოქეს სისწრაფეში ვავო-

ბეთო. თანამედროვე კალაბურთიც თითქმის მეტი არაფერია. ვინც საკუთარ ნახევარზე ყოჩაღობს და ბურთი დროულად გადააქვს მეტოქის საჯარიმოში, რა უნდა მოხდეს, რომ გაუჭირდეს — ხელსაყრელი სიტუაციიდან ბურთის ჩაგდებას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება.

სწორედ ასე იყო რუსთაველთა საქმეც: ლაშა გამყრელიძე მოტორიკით იყო „აზობისთვის“. მას ბურთი თვალის დახამხამებამდე გადაჰქონდა მეტოქის ნახევარზე და გამოწოდებულ სეზონში ხომ არიგებდა, შეტევა თავდაც არაერთხელ დაავიკრებინა.

ერთიც იყო — რუსთაველებს ისეთი შემცველები ჰყავდათ, რომ მოედანზე გამოსულებს მწვრთნელი უკან დიდი გავიარებოთ გამოიყვანდა, ისე კარგად თამაშობდნენ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ყველა, ვინც „აზობის“ სისხლისფერი მაისურით ფიცარნახვებ გამოვიდა, სამაგალითო იყო.

„ავიანთებს“ მხოლოდ თამაშის დებიუტში თუ ექნებოდათ რამის იმედი. აზერბაიჯანის ნაკრების წევრი დავით ბარბაქაძე დასაწყისში ჩინებულად ირკვებოდა და სხვა ტამბადალ თანაგუნდელებთან ერთად რუსთაველებს ფარქვეშ დიდ პრობლემებს უქმნიდა.

„ავიანთის“ სამწვრთნელი შტაბიც ალბათ ამან მოხიბლა და ავიტრებინა, მეტოქეს ფარქვეშად მოვუთავე ხელსო. ლევან მოსეშვილმა მოედანზე ერთბაშად სამი მეფარე შეაწყვილა — ბაბიაშვილი, როდუშა, ბარბაქაძე — რომლებსაც ორი ნომინალური გამთამაშებელი — ირაკლი ბერიშვილი და გიორგი ნიკოლაძე უმაგრებდნენ ზურგს. ამან წინა და უკანა ხაზის ერთგვარი ვაწყვეტა გამოიწვია და ის უპირატესობა, რომელიც „აზობმა“ საწყის მეოთხედში მოიპოვა, პირველი ტაიმის ბოლოსთვის უფრო სილიდურა გახდა — 5:3.

თუ „ავიანთის“ რამის შინა და ამბიცია ჰქონდა, მესამე მეოთხედში უნდა ექნა რამე, მაგრამ... რუსთაველებმა საპირველტაიმო უპირატესობა ისე ზუსტად შეინარჩუნეს, რომ არც არაფერი წაუშატებოთ და არც არაფერი მოუკლათ — 22 ქულით იმარჯვეს.

მაშ ასე, სუპერლიგას ერთობიროვნულ ლიდერად „აზობი“ მიუყვლინა, რომლის მწვრთნელი დავით უსტიანიშვილი მოდუნებას არ აპირებს. „ავიანთის“ იოლად დამარცხების შემდეგ მან თქვა, დიდი არაფერი მომხდარა, „ავიანთი“ კიდევ მოუმატებს და ჩვენც არ ვაპირებთ განერებასო.

გაცილებით საინტერესო გამოვიდა სუპერლიგის ორი აუტსაიდერის — „დინამოს“ და სტუ-ს შეხვედრა. ეს გუნდები ამ სეზონში ჯერაც მოუგებლად იყვნენ და ტექნიკოსმა ნოდარ ბესაიამ ნანატრი გრძობა თავისიანებს განაცდევინა. ბერაიამ დიდებულად ითამაშა — 37 ქულასთან ერთად 5 მოხსნა და 4 ჩაჭრა მიითვალა, რაც გახდა კიდევ „დინამოელთა“ მარცხის მიზეზი.



გულშინდელი ტურის ყველაზე მაღლიერი მაყურებლები მუსაფარი ბავშვები იყვნენ



სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი. სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური, ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები. ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა. 1000-მდე ქართული და უცხოელი სპორტსმენის დოსიე. სპორტულ ტერმინთა განმარტებები. ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე, სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე. უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა. რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი, 704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: „წიგნის სახლი“ (გამსახურდიას 31); „სამშობლო“ (ყაზბეგის 4); „ლიბრა“ (კერესელიძის 12, „მეგალინი“); „სანტა ესპერანსა“ (სანქტ-პეტერბურგის 12); „მერანი“ (რუსთაველის 42); „აისი“ (ალმაშენებლის 89); „საუნჯე“ (რუსთაველის 28).

უნაღლო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844




ნიუ იორკი ქართველებს დაანბრია

3 ნოემბერი

ატლანტა 102:92 ნიუ იორკი

ატლანტა: კლატონი (7), ჯონსონი (30), შ. უილიამსი (2), სმიტი (11), ფაჩულია (29)
ნიუ იორკი: მარბერი (9), ფრენსისი (9), რიჩარდსონი (19), ფრაი (4), კარი (20), რობინსონი (15), ლი (9), კროუფორდი (5), ბალკენი (2), კატო, როუზი, კოლინზი



ატლანტელებმა, სერდრე ბოზმანმა და ზაზა ფაჩულიამ ბურთი მძურად მოხსნეს

„ატლანტა ჰოქსის“ პირველ გამარჯვებაში სოლიდური წვლილი შეიტანა ზაზა ფაჩულიამ. ჩვენებურს ყოველთვის კარგად გამოხდებოდა. „ნიუ იორკთან“ თამაშში, მარბან 26 ქულა უყვლა „ნიქსს“

და მისი პირადი რეკორდიც ესაა. ახლა კი ზაზამ 11-დან 8 ორქულიანის და 9 საჯარიმოდან 6-ის ჩაგდება შემდეგ 22 ქულა მოაგროვა და თავის გუნდს 7 მოხსნივით შეაშველა ხელი.

ფაჩულია ალბათ მეტსაც მოიხვეჭდა, სათამაშო დროში რომ არ ყოფილიყო შეზღუდული. 140-კილოგრამიანი ნიუიორკელ ცენტრ ედი კარისთან ჭიდილში ზაზამ თავი ვერ აარიდა პერსონალურებს და ამის გამო მოედანზე მხოლოდ 29 წუთი დაჰყო. ამ მოკლე ხანში კარის ქულების ვერა, მაგრამ მოხსნების გროვებში კი შეუშალა ხელი — გოლიათ ნიუიორკელს მხოლოდ 2 „დაუგროვდა“.

მთავარი კი მაინც ისაა, რომ 127-კილოგრამიანი ფაჩულია თავის დაბალ და მოძრავ თანაგუნდლებს დიდად არ ჩამოუვარდება სისწრაფეში და მწვრთნელ მაიკ კუდსონის სქემაში ჯო ჯონსონთან ერთად წამყვანი ადგილი უკავია. თუმცა სეზონის პირველი ორი თამაშის შემდეგ შეიმჩნევა მისი პასიურობა მეტოქის ფარზე. წინა სეზონში ის გაცილებით მეტ მოხსნას იხვეჭდა შეტევებში, ახლა კი, რო-

გორც ჩანს, უდსონმა მეტოქის ფარზე სულ სხვა კაცი აამუშავა. ახალბედა შელდენ უილიამსს „ნიუ იორკთან“ 9 მოხსნა მოუგროვდა, აქედან 6 შეტევაში.

საზოგადოდ კი „ატლანტამ“ „ნიუ იორკს“ შანსიც არ მისცა. ატლანტურმა უკანა ხაზმა სტუქმართა ლიდერები სტივ მარბერი და მისი სეხნია ფრენსისი პირწმინდად დაჩაგრა და „ქორებმატ“ პირველი ტაიმი 10 ქულით მოიგეს. მესამეში კი მათმა ლიდერმა ჯო ჯონსონმა მიჯრით სამი 3-ქულიანი გაიხსროლა და 60:43 დააწინაურა მასპინძლები.

მთელი დარჩენილი მეოთხედნახევარი წვალბდნენ ნიუიორკელები. ლიდერები რომ ვერას გახდნენ, ბოლო მეოთხედში თავი გამოიღო 165-სანტიმეტრიანმა სათადარიგო ნეიტ რობინსონმა, ვინაც თავისი 15-ვე, ქულა დასკვნით მეოთხედში ჩააგდო და ერთხანს 3 ქულამდეც მიაწვია „ნიქსი“ „პოქსს“ — 80:83. თუმცა სტუმრებმა ამაზე მეტი ვერაფერი მოახერხეს, რაც მასპინძელთა ცენტრის დამსახურებაცაა — ზაზა ფაჩულიამ 22 ქულიდან 13 ბოლო მეოთხედში მითივლა.

სმა აპოილა, კუბან! ასი ზითხვა დალასს

3 ნოემბერი

